დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში
სამაგისტრო პროგრამა
(უმაღლესი განათლების II საფეხური)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

12/27/2022

დასკვნის წარდგენის თარიღი

01/31/2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა..... 6

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 11

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 11

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა..... 22

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 29

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა..... 33

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 45

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დოლიძე, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა გეგეშიძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ დალაქიშვილი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ თავხელიძე, შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	National Security Policy in Public Administration
უმაღლესი განათლების საფეხური	II; მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	აღმასრულებელი ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი საჯარო მმართველობაში/Executive Master of Business Administration(EMBA) in Public Administration
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	n/a
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60 ECTS
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	პროგრამა არის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი. პროგრამაზე ჩაირიცხებიან: თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები - უმაღლესი ოფიცრების შემადგენლობიდან და უფროსი ოფიცრების შემადგენლობიდან („პოლკოვნიკის'' და „ვიცე-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

	პოლკოვნიკის” სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეები), სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირები, აგრეთვე, საქართველოს უსაფრთხოების სტრუქტურებსა და ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა სახელმწიფო უწყებათა სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირები. ჩასარიცხი პირების რაოდენობა არის 25, მათ შორის: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებისათვის - მაქსიმუმ 8. სახელმწიფო უწყებებიდან სამოქალაქო ან სპეციალური წოდების მქონე კანდიდატების კონკურენციის შემთხვევაში, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვაზე პრიორიტეტი მიენიჭება სტრუქტურულ კუთვნილებას (თითოეული სტრუქტურიდან 1 პირი). კანდიდატი საჯარო სამსახურის მოსამსახურეები: - ფლობენ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს; - ჩაბარებული აქვთ საერთო სამაგისტრო გამოცდა; - აქვთ საჯარო სამსახურში მართვის/ადმინისტრირების დარგში მინიმუმ 5 წლიანი პროფესიული გამოცდილება; - წარმოადგენენ ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს STANAG 2/2/2/2 ან CEF B2 (ან შესაბამისი დონის TOEFEL/ILTS/ECL ან სხვა საერთაშორისო ინგლისური ენის გამოცდა), ან წარმოადგენენ დიპლომს/სერთიფიკატს, რომელიც ადასტურებს, რომ გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი სასწავლო პროგრამა, ან ჩააბარებენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის გამოცდას B2 დონეზე. - გაივლიან გასაუბრებას სამაგისტრო პროგრამაში მონაწილე პროფესორებთან.

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა ბიზნესის ფაკულტეტისა და თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის თანამშრომლობის შედეგად შემუშავებული უწყებათაშორისი პროგრამა „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“ წარმოადგენს ერთწლიან სამაგისტრო პროგრამას, სრული კრედიტების მოცულობით 60 ECTS. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნეს ადმინისტრირების აღმასრულებელი მაგისტრი - განსაზღვრავს სწავლის ხანგრძლივობასა და კრედიტების რაოდენობას, ასევე, სამაგისტრო სადიპლომო ნაშრომის ჩანაცვლებას პროფესიული პრაქტიკული პროექტით. პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტთა კვოტა შეადგენს 25-ს, მათ შორის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებისათვის - მაქსიმუმ 8-ს.

სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი ნაწილია თავდაცვის სამინისტროს “თავდაცვისა და უსაფრთხოების უმაღლესი პროგრამა“, რომელიც არის უწყებათშორისი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამა და ამავდროულად თავდაცვის სამინისტროს უფროს ოფიცერთა კატეგორიისათვის უმაღლესი სამხედრო განათლების მიღების საფეხური. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვით თავდაცვის სამინისტროს “თავდაცვისა და უსაფრთხოების უმაღლესი პროგრამის“ მსმენელებს (როგორც თავდაცვის სამინისტროს უფროს ოფიცრებს, ასევე სახელმწიფოს სხვა უწყებების მოსამსახურეებს) ეძლევათ შესაძლებლობა მაგისტრატურის წარმატებით დამთავრებისა და აღმასრულებელი მაგისტრის დიპლომის მიღების პარალელურად, აიღონ თავდაცვის სამინისტროს სასწავლო პროგრამის დამთავრების უწყებრივი დიპლომი. პროგრამის არჩევით კურსებში ორი წარმოადგენს NATO-ს აკრედიტებულ კურსს, რაც გულისხმობს, რომ მათი არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულ დამატებით გადაეცემა NATO-ს აკრედიტებული სერტიფიკატი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 27 დეკემბერს, 09:30 საათიდან. COVID-19 პანდემიით შექმნილი განსაკუთრებული ვითარების გამო, ვიზიტის პროცესში რამდენიმე მონაწილესთან ინტერვიუ განხორციელდა ონლაინ, zoom.us პლატფორმის გამოყენებით. დღის წესრიგის მიხედვით ჩატარდა შეხვედრები/გასაუბრებები პროგრამაში ჩართულ მხარეებთან, კერძოდ: უსდ-სა და ფაკულტეტის ადმინისტრაცია; პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი; პროგრამის ხელმძღვანელები; უსდ-ს/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები; მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები; აკადემიური და მოწვეული პერსონალი; დამსაქმებლები და სტაჟირების განმახორციელებლები.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და ა.შ.) ადგილზე დათვალიერება. თუმცა,

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

რამდენადაც პროგრამა ორი ინსტიტუციის თანამშრომლობის შედეგია, მისი განხორციელებისათვის, თსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გარდა, გათვალისწინებულია თიას-ის ინფრასტრუქტურის გამოყენებაც. უნდა აღინიშნოს, რომ თიას-ში ვიზიტი თავდაპირველი განრიგით გათვალისწინებული არ ყოფილა, თუმცა, პროგრამის ხელმძღვანელებმა ორგანიზება გაუწიეს zoom პლატფორმის მეშვეობით თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ონლაინ დათვალიერებას. სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა, ამომწურავად ემსჯელა და ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  - საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული:

	სტანდარტი	**შესაბამისობა**
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1.2.

- სწავლის პირველი და მეორე შედეგები ჩამოყალიბდეს ახალი ფორმულირებით, სამაგისტრო საფეხურის სირთულის შესაბამისი ზმნებით.

1.4.

- საზოგადოებასთან ურთიერთობის კურსის ჩანაცვლება სხვა დისციპლინით, რომელიც უფრო რელევანტურია პროგრამისათვის. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ პოლიტიკის დიზაინისა და ანალიზის კურსი, რომელიც პოლიტიკის შემუშავების მეთოდოლოგიის შესწავლას მოიცავს,

სავალდებულოა საჯარო სექტორში სტრატეგიებსა და პოლიტიკის დოკუმენტებზე მომუშავე მოხელეებისათვის.

- კურსი ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში, მეორე სემესტრის ნაცვლად, ჩატარდეს პირველ სემესტრში და გახდეს სტრატეგიული ლიდერობის წინაპირობა.

1.5.

- სავალდებულო საგნების სილაბუსებში გადაიხედოს ლიტერატურის მოცულობა და განისაზღვროს ის რეალური რაოდენობა, რისი ათვისებაც სტუდენტს ერთი კურსის ფარგლებში შეუძლია; შემცირდეს როგორც ლიტერატურის ჩამონათვალი (ძირითადი და დამხმარე), ასევე თითოეულ ლექციაზე საკითხავად განსაზღვრული გვერდების რაოდენობა; ხოლო იმ კურსებში, სადაც შემუშავებულია რიდერები, შესაბამისი მითითება მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში.
- აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების კურსში მეტად მოხდეს ფოკუსირება მონაცემთა შეგროვებასა და დამუშავებაზე რაოდენობრივი თუ თვისებრივი მეთოდებით.
- გადაიხედოს კურსის „ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში“ სილაბუსის შინაარსი და გამდიდრდეს ის საჯარო ორგანიზაციებისათვის სპეციფიკური თემებით (მაგალითად, პერსონალის მართვა სსიპებსა და ა(ა)იპებში, რეკრუტირება, მოხელეთა კარიერული და პროფესიული განვითარება, შესრულებული სამუშაოს მიხედვით შეფასება და სხვა), ასევე დაემატოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონის განხილვა.
- სილაბუსებში შეფასების რუბრიკა ფორმულირდეს ისე, რომ ასახავდეს კონკრეტული საგნის სპეციფიკას, რათა უკეთ იყოს უზრუნველყოფილი სწავლის შედეგის მიღწევა.
- გადაიხედოს პრაქტიკული (პროფესიული) პროექტის სილაბუსი და გამდიდრდეს ის პრაქტიკული პროექტის შესრულებისათვის აუცილებელი ინფორმაციით, მათ შორის უნდა იყოს, პროექტის სტრუქტურა, ცალკეული ეტაპების განხორციელების ვადები და თითოეული კომპონენტის შეფასების რუბრიკა.

4.1.

- გაიზარდოს პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში დარგობრივი მიმართულებით უსდ-სთან ასოცირებული, დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პედაგოგების ჩართულობა; ამისათვის პროგრამის აკადემიური პერსონალი გამდიდრდეს პოლიტიკის მეცნიერებების ან უსაფრთხოების პროგრამების პროფესორების მოწვევის, ასევე თიას-სიდან მოწვეული პერსონალისთვის რაიმე სახის აკადემიური თანამდებების კონტრაქტის შეთავაზების ხარჯზე, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მდგრადობას და განვითარებას.

4.2.

- უსდ-მ მოახდინოს დამატებით კადრების მობილიზება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისთვის ანდა პროექტის შესრულებისას მოწვეული პერსონალიდან მოახდინონ თანახელმძღვანელის დანიშვნა, რადგან 3 პირი არ იქნება საკმარის, რათა 25 კაცს გაუწიოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.3.

- სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდეს კურსის მიმდინარეობის პროცესშიც, ხოლო მიღებული მონაცემების ანალიზი გამოყენებულ იქნას კურსის გაუმჯობესებისათვის მის დასრულებამდე.

2.3.

- შემდეგ კურსებში: ლოჯისტიკა საჯარო სექტორში; უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლები; სტრატეგიული კომუნიკაცია და მოლაპარაკებები; სტრატეგიული ლიდერობა; სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში - სასურველია სწავლების მეთოდებს შორის სიტუაციის ანალიზის, ისევე, როგორც გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების გადაჭრის სიმულაციური პროგრამების გამოყენება.

4.5.

- დარწმუნდით, რომ ბიუჯეტით გამოყოფილი დაფინანსება ადეკვატურია, ინკლუზიურია და საკმარისია ყველა სტუდენტის, აკადემიური თუ მოწვეული პერსონალისთვის. ჩაატარეთ დამატებითი კვლევები მივლინებისა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერით ფაკულტეტის რამდენმა პროცენტმა ისარგებლა და დაადგინეთ დაფინანსების სუსტი წერტილები, რათა მოახდინოთ ბიუჯეტის უფრო ეფექტიანი და ინკლუზიური ხარჯვა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- აღსანიშნავია მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, დარგობრივი ცოდნა და პროგრამაში ჩართულობის მაღალი დონე.
- პროგრამა ჰარმონიზებულია NATO-ს საგანმანათლებლო პროგრამებთან, მაღალია პროგრამის შემუშავებაში საერთაშორისო ჩართულობა
- გამოკვეთილად აღსანიშნავია დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში და მისი განხორციელების მიმართ დაინტერესება.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

2023 წლის 24 იანვარს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში თსუ-მ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად ექსპერტთა კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების თაობაზე.

დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა შემდეგი რეკომენდაციები: 1.2 კომპონენტის რეკომენდაცია, 1.5 კომპონენტის 1,2,4 და 5 რეკომენდაციები და 4.1 რეკომენდაცია.

რაც შეეხება დანარჩენ რეკომენდაციებს, 1.4 კომპონენტის ორივე რეკომენდაცია გათვალისწინებულია ნაწილობრივ; პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის არჩევით საგნებს დაემატება სასწავლო კურსი „პოლიტიკის ანალიზი და დიზაინი“, ხოლო „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ დარჩება ასევე არჩევითი კურსების ბლოკში. მეორესთან დაკავშირებით დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

მოსაზრებას, რომ კურსი „ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში“ ჩატარდეს I სემესტრში, თუმცა, მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ის გახდეს გახდეს არა „სტრატეგიული ლიდერობის“ კურსის, არამედ, კურსის „სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში” წინაპირობა. რამდენადაც „სტრატეგიული ლიდერობის“ კურსი გათვლილია სამხედრო მეთაურებისა და სტრატეგიული ლიდერების უნარებისა და ლიდერობის თეორიების შესწავლაზე, ხოლო „სტრატეგიული მენეჯმენტის საჯარო სექტორში“ მოსამსახურეების მიერ საჯარო სექტორში მენეჯმენტის დაგეგმვასა და ორგანიზებაზე.

1.5 კომპონენტის რეკომენდაცია დაწესებულების მიერ არ იქნა გაზიარებული, რადგან მათი პოზიციით, საჯარო სამსახურის შესახებ კანონი და შესაბამისი თემები უკვე ასახულია კურსის სილაბუსში, რაც, ექსპერტთა მოსაზრებით, სამსჯელო საკითხს წარმოადგენს.

რაც შეეხება 3.2. კომპონენტის რეკომენდაციას, დაწესებულებას სამართლიანად აქვს მითითებული, რომ ის იმეორებს 4.1. რეკომენდაციას, რომლის გათვალისწინებასაც დაწესებულება გეგმავს. შესაბამისად, დასკვნიდან 3.2. რეკომენდაცია ამოღებულ იქნა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“ სამაგისტრო პროგრამა შეიქმნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე. შესაბამისად, პროგრამა ეფუძნება როგორც უსდ-ს ასევე თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ძირითად ფასეულობებს, მისიებსა და მიზნებს. პროგრამის მიზანია საჯარო სექტორისთვის სტრატეგიული დონის ლიდერთა მომზადება, რომელთაც შეუძლიათ ეროვნულ დონეზე კოორდინირებული ურთიერთქმედების, შიდა და საგარეო უსაფრთხოების და საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს სტრატეგიული დონის საჯარო მართვის პროცესებში ეფექტიანი მონაწილეობა. აღნიშნული მიზანი, ისევე, როგორც პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, შეესაბამება როგორც თსუ-ს მისიასა და ღირებულებებს, ასევე თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მისიებს. კერძოდ, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა, ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელება, ინოვაციების დანერგვა, ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა და სხვ., ისევე, როგორც ეროვნული უსაფრთხოების მხარდაჭერა და უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაღრმავება, მათ შორის სასწავლო და საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელების გზით.

პროგრამაში ნათლად არის ასახული კურსდამთავრებულის კომპეტენციები და უნარები, ხოლო შინაარსობრივი და სტრუქტურული მხარე ასახავს II დონის სამაგისტრო საფეხურის სირთულეს.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა წარმოადგენს რეგიონში ერთადერთ სასწავლებელს, რომელსაც NATO-ს აკრედიტაცია აქვს მინიჭებული, რაც სკოლასა და წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამას უფლებას აძლევს, განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამები NATO-ს სახელით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროგრამის კურიკულუმი
- თვითშეფასების ანგარიში
- თსუ მისიის განაცხადი https://www.tsu.ge/ge/about/mission_statement/
- 2022 წლის 13 მაისის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტსა და სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლას შორის
- სსიპ– თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის წესდება
- თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის NATO-ს ხარისხის უზრუნველყოფის აკრედიტაციის სერთიფიკატი (QUALITY ASSURANCE (QA) ACCREDITATION OF THE DEFENCE INSTITUTION BUILDING SCHOOL)
- ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს ცოდნისა და გაცნობიერების, უნარების და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტებს. კომპონენტების მიხედვით ჩამოყალიბებულია 8 სწავლის შედეგი, რომლებიც გათვალისწინებულია თითოეულ სასწავლო მოდულში და სწავლების მეთოდებში, მათ შორისაა, სალექციო და სასემინარო მუშაობა, პრაქტიკა, პოლიტიკისა და სტრატეგიული დოკუმენტების შექმნა. სწავლის პირველი და მეორე შედეგების მიხედვით, ცოდნისა და გაცნობიერების კომპონენტის ფარგლებში, სტუდენტი: გამოარჩევს თავდაცვისა და უსაფრთხოების დაგეგმვის ეროვნული და უწყებრივი დონის დოკუმენტებს და მათ მომზადებაზე პასუხისმგებელ უწყებებს; გამოავლენს ორგანიზაციის ძლიერ და სუსტ მხარეების და ტურბულენტურ და სწრაფად ცვლად ვითარებაში განსაზღვრავს სტრატეგიის ფორმირებისათვის აუცილებელ ელემენტებს. აკრედიტაციის ექსპერტთა მოსაზრებით, ეს კონკრეტული შედეგები ნაკლებად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს, რადგან უწყებებისა და დოკუმენტების იდენტიფიცირება, ისევე, როგორც ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა ბაკალავრის დონის სირთულის მიზნებს წარმოადგენს. ექსპერტები მიზანშეწონილად მიიჩნევენ, სწავლის აღნიშნული შედეგები ჩამოყალიბდეს ახალი ფორმულირებით, სამაგისტრო საფეხურის სირთულის შესაბამისი ზმნებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება (თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოკუმენტი, 2020)
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

  - სწავლის პირველი და მეორე შედეგები ჩამოყალიბდეს ახალი ფორმულირებით, სამაგისტრო საფეხურის სირთულის შესაბამისი ზმნებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრულია ბლუმის განახლებული ტაქსონომიის შესაბამისად. შეფასების პროცესი ციკლურია და ოთხი ეტაპისგან შედგება: პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება; კურიკულუმის ანალიზი სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით. პირდაპირი შეფასებისას ხდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემაში პროგრამის კონკრეტული შედეგის მისადაგება კონკრეტულ სასწავლო კურსთან და მასში გათვალისწინებულ შეფასების მეთოდთან, იქნება ეს გამოცდა, სემინარი, თუ პრაქტიკული მუშაობა. განისაზღვრება სამიზნე ნიშნული, მონაცემების შეგროვების დრო, პასუხისმგებელი პირი; ასევე ხდება მიღებული შედეგების ანალიზი, რის შედეგადაც ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. აღწერილი სქემა მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგის, პროგრამის ყველა სავალდებულო საგნის და კვლევითი კომპონენტის ურთიერთკავშირს.

სამიზნე ნიშნულები განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის ან კვლევითი კომპონენტის ფარგლებში მისაღწევი შედეგის სახით, რაც შემდგომ კონტროლდება.

გარდა ამისა, სამიზნე ნიშნულების დასადგენად ხდება მონაცემების მოგროვება, კერძოდ: პროგრამის კურსდამთავრებულთა საშუალო შეწონილი ქულა და კურსდამთავრებულთა განთესვის მაჩვენებელი.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ირიბ მექანიზმებად გამოიყენება ისეთი მონაცემები, როგორც: კურსდამთავრებულთა გამოკითხვა რაოდენობრივი ან ფოკუს ჯგუფის მეთოდით; დამსაქმებელთა გამოკითხვა; კურსდამთავრებულთა პროფილური დასაქმების მაჩვენებელი; აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვა.

სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის. შედეგების შეფასების მიხედვით შემუშავდება რეკომენდაციები, რომელიც პროგრამაში ცვლილების განხორციელებისთვის დადგენილი პროცედურების შესაბამისად განიხილება დაინტერესებულ პირთა ჩართულობით. ძირითადად შეფასება ხორციელდება სასწავლო კურსის და კვლევითი კომპონენტის დასრულების შემდგომ. სასურველია, შეფასება განხორციელდეს კურსის მიმდინარეობის პროცესშიც, ხოლო მიღებული მონაცემების ანალიზი გამოყენებულ იქნას კურსის გაუმჯობესებისათვის მის დასრულებამდე.

რეკომენდაციების განხილვასა და შესრულებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ასევე თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის შესაბამისი სტრუქტურები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება (თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოკუმენტი, 2020)
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა
- სწავლის შედეგების შეფასების რუკა
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  - სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდეს კურსის მიმდინარეობის პროცესშიც, ხოლო მიღებული მონაცემების ანალიზი გამოყენებულ იქნას კურსის გაუმჯობესებისათვის მის დასრულებამდე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

როგორც ორი საგანმანათლებლო ინსტიტუტის თანამშრომლობის შედეგი, პროგრამა შემუშავებულია თსუ-სა და თიას-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით.

თსუ-ში მოქმედი რეგულაციების მიხედვით, აკადემიური საბჭოს №14/2018 დადგენილებით, შეიქმნა პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტი. პროგრამის შემუშავების პროცედურა მიმდინარეობდა საჯაროდ და გამჭვირვალედ, რასაც ადასტურებს ინტერვიუები თვითშეფასების ჯგუფთან, დამსაქმებლებთან და მოწვეულ პერსონალთან; პროცესში ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები (სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, ასევე უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი), რაც დადასტურდა მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასებით, მოწვეულ პერსონალთან შედარებით, ნაკლებია უსდ-ში აფილირებული აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში. რჩება შთაბეჭდილება, რომ აკადემიური პერსონალი პროგრამაში ჩართულია არა შინაარსობრივი საჭიროების, არამედ დამაკმაყოფილებელი სტატისტიკური მონაცემების მისაღებად. ეს ფაქტორი ასევე აისახება პროგრამის კურიკულუმში. მაგალითად, სავალდებულო საგნებს შორის ისწავლება საზოგადოებასთან ურთიერთობის კურსი, რაც, ექსპერტთა აზრით, არ წარმოადგენს სტუდენტებისათვის აუცილებელი ცოდნისა თუ უნარების განსავითარებელ დისციპლინას. შესაბამისად, ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ საზოგადოებასთან ურთიერთობის კურსის ჩანაცვლება სხვა დისციპლინით, რომელიც უფრო რელევანტურია პროგრამისათვის. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ პოლიტიკის დიზაინისა და ანალიზის კურსი, რომელიც პოლიტიკის შემუშავების მეთოდოლოგიის შესწავლას მოიცავს, სავალდებულოა საჯარო სექტორში სტრატეგიებსა

და პოლიტიკის დოკუმენტებზე მომუშავე მოხელეებისათვის და კურიკულუმში არსებული რამდენიმე კურსისათვის შეიძლება გახდეს წინაპირობა.

პროგრამა ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევას, რომლის ფარგლებში ჩატარდა 18 სახელმწიფო უწყებიდან 181 რესპონდენტის გამოკითხვა (დანართი 8), რამაც დაადასტურა პოტენციური დამსაქმებლებისა და სტუდენტების მხრიდან პროგრამის შექმნის საჭიროება. გარდა ამისა, ფაკულტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა სადიპლომო ნაშრომის ფარგლებში ჩაატარეს საჯარო სექტორის გამოწვევებისა და პრობლემების ათამდე კვლევა; წარმოდგენილი მონაცემები და კვლევის მიგნებები ასევე გათვალისწინებულ იქნა პროგრამის შემუშავების დროს.

„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“ არის ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა, რომლის კრედიტების საერთო მოცულობაა 60 ECTS. მათგან: პროგრამის სავალდებულო სასწავლო მოდულები/კურსები - 40 კრედიტი.

პროგრამის არჩევითი სასწავლო მოდულები/კურსები - მინ. 10 კრედიტი (სულ შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობაა 23).

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია პროექტი - პროფესიული (პრაქტიკული) ნაშრომი - 10 კრედიტი.

პროგრამის სილაბუსები შედგენილია უსდ-ში დამტკიცებული ფორმატის მიხედვით, მოიცავს სწავლა-სწავლების მეთოდებს, რომლებიც ითვალისწინებს სტუდენტებისათვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიცემას და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. შეფასების მეთოდები შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანებასთან (ბრძანება #3, 2007 წლის 5 იანვარი) და მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

პროგრამის პირველი სემესტრის კურიკულუმის არჩევითი საგნები ანალოგია თავდაცვის სამინისტროში არსებული თავდაცვისა და უსაფრთხოების უმაღლესი სასერტიფიკატო პროგრამისა. შესაბამისად, კურსდამთავრებულები მიიღებენ ორ დამადასტურებელ საბუთს - 1) „თავდაცვისა და უსაფრთხოების უმაღლესი პროგრამის“ უწყებრივ დიპლომს; 2) “ბიზნეს ადმინისტრირების საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის” უმაღლესი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დიპლომს (მაგისტრის ხარისხი).

აღსანიშნავია, რომ იმ პირებს, რომელთაც გავლილი აქვთ თავდაცვისა და უსაფრთხოების პროგრამა, სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების შემთხვევაში, გავლილი საგნები არ ჩაეთვლებათ მიღებულ კრედიტებში. არსებული პრობლემა ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამების ინსტიტუციურ ხარვეზად შეიძლება მივიჩნიოთ, რისი გამოსწორებაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აღნიშნული საფეხურის პროგრამების განვითარებას და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიონალთათვის განათლების მოქნილი შესაძლებლობების არსებობას.

აკრედიტაციის ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამის კურიკულუმში შემდეგი ხარვეზები აღინიშნება, ზემოაღნიშნული საზოგადოებასთან ურთიერთობის კურსის გარდა.

არც ერთი სავალდებულო კურსისათვის არ არის გათვალისწინებული წინაპირობა. ექსპერტთა აზრით, ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში, რომელიც ისწავლება მეორე სემესტრში, უნდა იყოს წინაპირობა სტრატეგიული ლიდერობის, რომელიც პირველ სემესტრში ისწავლება. შესაბამისად, უნდა მოხდეს ამ ორი საგნის გადანაცვლება სემესტრების მიხედვით. ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში მოიცავს საჯარო სექტორის კანონმდებლობის დეტალურ

შესწავლასაც, რაც ერთ-ერთი საბაზისო ცოდნაა მაგისტრანტისათვის და შესაძლოა, სხვა კურსებშიც მოხდეს მასზე რეფერირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- ახალი პროგრამის აღწერა თსუ ვებ-გვერდზე https://www.tsu.ge/ka/news/New-Master%E2%80%99s-Degree-Program-
- ბიზნესის ადმინისტრირების საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება
- წერილობითი მიმართვა სახელმწიფო უწყებებში სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით
- ერთწლიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის ანალიზი
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, უსდ-სა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

  - საზოგადოებასთან ურთიერთობის კურსის ჩანაცვლება სხვა დისციპლინით, რომელიც უფრო რელევანტურია პროგრამისათვის. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ პოლიტიკის დიზაინისა და ანალიზის კურსი, რომელიც პოლიტიკის შემუშავების მეთოდოლოგიის შესწავლას მოიცავს, სავალდებულოა საჯარო სექტორში სტრატეგიებსა და პოლიტიკის დოკუმენტებზე მომუშავე მოხელეებისათვის.
  - კურსი ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში, მეორე სემესტრის ნაცვლად, ჩატარდეს პირველ სემესტრში და გახდეს სტრატეგიული ლიდერობის წინაპირობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სასწავლო კურსების სილაბუსები შედგენილია უსდ-ს რეგულაციების შესაბამისად შემუშავებულ ფორმატში და მოიცავს ყველა საჭირო კომპონენტს, მათ შორის, კრედიტების რაოდენობას და საათობრივ გადანაწილებას, სწავლა-სწავლების მეთოდებს, შეფასებასა და რუბრიკებს, ასევე, ლექტორთან კონსულტაციების შესაძლებლობას.

ძირითადი და არჩევითი კურსების მიზნები და შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან, რაც ასახულია სწავლის შედეგების რუკაში. სწავლის შედეგები ფორმულირებულია მოკლედ, მკაფიოდ და გასაგებად. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

უსდ-ში მოქმედებს ანტიპლაგიატის პროგრამა Turnitin, რომლის შესახებაც სტუდენტებს სრულყოფილად აქვთ მიღებული ინფორმაცია და რომელიც ფართოდ გამოიყენება ყველა კურსის ფარგლებში, სადაც შეფასება წერითი დავალების (ესსე, რეფერატი, პოლიტიკის დოკუმენტი, საკურსო ან სადიპლომო ნაშრომი) საფუძველზე ხდება. აღნიშნული დადასტურდა მომიჯნავე პროგრამების კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს დროს.

ცალკეულ კურსებთან (სავალდებულო) დაკავშირებით, ექსპერტებმა გამოთქვეს რამდენიმე მოსაზრება:

სილაბუსების დიდ ნაწილში ჩამოთვლილი სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, ექსპერტთა აზრით, ძალიან დიდი მოცულობისაა, რისი ათვისებაც ერთი კურსის ფარგლებში ექსპერტებს არარეალურად მიაჩნიათ.

მაგალითად, აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები - ძირითადი ლიტერატურა - 17 წყარო, საიდანაც ყველაზე ახალი 2018 წლისაა; საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა - 35 ძირითადი წყარო, 68 - დამხმარე; უსაფრთოხების პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლები - 71 ძირითადი წყარო, 30 - დამხმარე; სტრატეგიული კომუნიკაცია და მოლაპარაკებები - 13 ძირითადი, 27 - დამხმარე; სტრატეგიული ლიდერობა - 60 ძირითადი, 45 - დამხმარე; გარდა ამისა, აღნიშნულ საგნებში თითოეულ ლექციაზე საკითხავი მასალა 50-დან 80-მდე გვერდს ან სრულ 3-4- თავს მოიცავს.

ინტერვიუს დროს მოწვეულ პერსონალთან, გამოიკვეთა, რომ მასალები ძირითადად წარმოადგენს სტატიებს, ხოლო ზოგ კურსში დასახელებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით შემუშავებულია რიდერები. მიზანშეწონილია, გადაიხედოს ლიტერატურის მოცულობა და განისაზღვროს ის რეალური რაოდენობა, რისი ათვისებაც სტუდენტს ერთი კურსის ფარგლებში შეუძლია; ხოლო იმ კურსებში, სადაც შემუშავებულია რიდერები, შესაბამისი მითითება მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში.

აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების კურსში, ექსპერტების მოსაზრებით, დიდი ნაწილი აქვს დათმობილი აკადემიური წერის ტექნიკების შესწავლას. დასკვნითი გამოცდა მოცემულია ესსეს სახით, თუმცა, შეფასების დეტალური რუბრიკა ნაკლებ ყურადღებას ამახვილებს კვლევის მეთოდების გამოყენებაზე და უფრო მეტად აქცენტირებულია აკადემიური წერის ტექნიკების შეფასებაზე. ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ, აღნიშნულ საგანში მეტად მოხდეს ფოკუსირება მონაცემთა შეგროვებასა და დამუშავებაზე რაოდენობრივი თუ თვისებრივი მეთოდებით.

კურსის "ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში" მიზანი გულისხმობს ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მეთოდებით საჯარო სექტორის მართვას. მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში მითითებულია კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, სალექციო თემატიკაში არ აისახება კანონის განხილვა; კანონი არ არის მითითებული, როგორც საკითხავი მასალა, არც ერთ ლექციაზე. და არც საჯარო ორგანიზაციებში ადამიანური რესურსების მართვის სპეციფიკაზეა საუბარი. მიზანშეწონილია, გადაიხედოს კურსის სილაბუსის შინაარსი და გამდიდრდეს ის საჯარო ორგანიზაციებისათვის სპეციფიკური თემებით (მაგალითად, პერსონალის მართვა სსიპებსა და ა(ა)იპებში, რეკრუტირება, მოხელეთა კარიერული და პროფესიული განვითარება, შესრულებული სამუშაოს მიხედვით შეფასება და სხვა), ასევე დაემატოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონის განხილვა.

ყველა საგანში შეფასების რუბრიკები არის სტანდარტული როგორც წერილობითი (ესსე, რეფერატი) ასევე ზეპირი (პრეზენტაცია) დავალებებისათვის. მიზანშეწონილია, შეფასების რუბრიკა ასახავდეს საგნის სპეციფიკას, რომ უკეთ იყოს უზრუნველყოფილი სწავლის შედეგის მიღწევა.

პრაქტიკული კომპონენტი პროგრამის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტები არიან შუა და მაღალ რგოლში დასაქმებული საჯარო მოხელეები და სამხედრო პირები, რომელთა მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება აქვთ. ამ მოსაზრებით, სასწავლო კურსების უმეტესობა ითვალისწინებს პრაქტიკულ მუშაობას. ასევე, პროგრამის დამასრულებელი კურსი არის პროფესიული (პრაქტიკული) ნაშრომი, ე.წ. Capstone Project, რომელიც 10 ECTS-ს მოიცავს. პროექტის წარმოდგენილ სილაბუსში აღნიშნულია, რომ „პროფესიული ნაშრომი წარმოდგენს თეორიული და/ან პრაქტიკული ხასიათის წერით ნაშრომს, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სემესტრში და დაიცვას პროფესიული ნაშრომის დაცვის

კომისიის სხდომაზე“. ექსპერტთა მოსაზრებით, სილაბუსი შინაარსობრივად სრულად შეესაბამება სადიპლომო (თეორიული) კვლევის სილაბუსს და ნაკლებად ასახავს პრაქტიკული პროექტის ელემენტებს. შესაბამისად, ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ, გადაიხედოს პრაქტიკული (პროფესიული) პროექტის სილაბუსი და გამდიდრდეს ის პროექტის შესრულებისათვის აუცილებელი ინფორმაციით, მათ შორის უნდა იყოს, პროექტის სტრუქტურა, ცალკეული ეტაპების განხორციელების ვადები და თითოეული კომპონენტის შეფასების რუბრიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროგრამის კურიკულუმი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- საგნების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- სავალდებულო საგნების სილაბუსებში გადაიხედოს ლიტერატურის მოცულობა და განისაზღვროს ის რეალური რაოდენობა, რისი ათვისებაც სტუდენტს ერთი კურსის ფარგლებში შეუძლია; შემცირდეს როგორც ლიტერატურის ჩამონათვალი (ძირითადი და დამხმარე), ასევე თითოეულ ლექციაზე საკითხავად განსაზღვრული გვერდების რაოდენობა; ხოლო იმ კურსებში, სადაც შემუშავებულია რიდერები, შესაბამისი მითითება მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში.
- აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების კურსში მეტად მოხდეს ფოკუსირება მონაცემთა შეგროვებასა და დამუშავებაზე რაოდენობრივი თუ თვისებრივი მეთოდებით.
- გადაიხედოს კურსის „ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში“ სილაბუსის შინაარსი და გამდიდრდეს ის საჯარო ორგანიზაციებისათვის სპეციფიკური თემებით (მაგალითად, პერსონალის მართვა სსიპებსა და ა(ა)იპებში, რეკრუტირება, მოხელეთა კარიერული და პროფესიული განვითარება, შესრულებული სამუშაოს მიხედვით შეფასება და სხვა), ასევე დაემატოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონის განხილვა.
- სილაბუსებში შეფასების რუბრიკა ფორმულირდეს ისე, რომ ასახავდეს კონკრეტული საგნის სპეციფიკას, რათა უკეთ იყოს უზრუნველყოფილი სწავლის შედეგის მიღწევა.
- გადაიხედოს პრაქტიკული (პროფესიული) პროექტის სილაბუსი და გამდიდრდეს ის პრაქტიკული პროექტის შესრულებისათვის აუცილებელი ინფორმაციით, მათ შორის უნდა იყოს, პროექტის სტრუქტურა, ცალკეული ეტაპების განხორციელების ვადები და თითოეული კომპონენტის შეფასების რუბრიკა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

უსდ-ს მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და წარმოდგენილ სხვა დოკუმენტაციაზე, ასევე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ლოგიკურია, სამართლიანი და საფეხურის შესაბამისი. პროგრამაზე მიღების წინაპირობები აღწერილია პროგრამაში და ეხმიანება მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

პროგრამის აღწერის შესაბამისად სამაგისტრო პროგრამაზე - „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობა“ ჩაირიცხებიან საჯარო სამსახურის მოსამსახურეები:

• რომლებსაც გააჩნიათ ბაკალავრის, მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

• რომლებიც ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდას;

• რომლებსაც საჯარო სამსახურში მართვის/ადმინისტრირების დარგში აქვთ მინიმუმ 5 წლიანი პროფესიული გამოცდილება;

• რომლებიც წარმოადგენენ ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს STANAG 2/2/2/2 ან CEF B2 (ან შესაბამისი დონის TOEFEL/ILTS/ECL ან სხვა საერთაშორისო ინგლისური ენის გამოცდა) ან წარმოადგენენ დიპლომს/სერთიფიკატს, რომელიც ადასტურებს, რომ გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი სასწავლო პროგრამა, ან ჩააბარებენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის გამოცდას B 2 დონეზე.

• რომლებიც გაივლიან გასაუბრებას სამაგისტრო პროგრამაში მონაწილე პროფესორებთან.

ასევე სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებად განსაზღვრულია დამატებითი წინაპირობები: 1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში (შემდგომ თავდაცვის სამინისტრო) მოქმედი „თავდაცვისა და უსაფრთხოების უმაღლეს პროგრამაზე“ (აღნიშნული პროგრამა არის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი) ჩარიცხვისათვის განსაზღვრული თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები - უმაღლესი ოფიცრების შემადგენლობიდან და უფროსი ოფიცრების შემადგენლობიდან („პოლკოვნიკის'' და „ვიცე-პოლკოვნიკის'' სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეები), სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირები, აგრეთვე, საქართველოს უსაფრთხოების სტრუქტურებსა და ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა სახელმწიფო უწყებათა სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირები. 2. სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხი სამხედრო, სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე პირების რაოდენობა არის 25. 3. სახელმწიფო უწყებებიდან წარმოდგენელი სამოქალაქო ან სპეციალური წოდების მქონე კანდიდატების კონკურენციის შემთხვევაში, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვაზე პრიორიტეტი მიენიჭება სტრუქტურულ კუთვნილებას (თითოეული სტრუქტურიდან 1 პირი), რათა მიღწეულ იქნას მაქსიმალური წარმომადგენლობითი მრავალფეროვნება.

ზემოთ აღწერილი დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და სწავლების საფეხურთან. პროგრამის მიერ სტუდენტების შერჩევის პრინციპი უზრუნველყოფს საჭირო ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულ ინტერვიუებზე აღინიშნა, რომ „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში„ - პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ, ინფორმაცია ამ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ განთავსდება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. ასევე აღინიშნა, რომ ინფორმაციის გავრცელება მოხდება სოციალური ქსელებითაც და საინფორმაციო შეხვედრების მეშვეობითაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-სთან წარმომადგენლებთან განხორციელებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება				
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.				

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, ვიზიტის ფარგლებში დამუშავებული დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამა, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით აქცენტს აკეთებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე. აღნიშნულისათვის სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია პრაქტიკული სამუშაოები, სემინარები და ჯგუფური მუშაობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის განმახორციელებლებთან ჩატარებული ინტერვიუები;
- სწავლის შედეგების რუკა;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო პროგრამის -„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“ ფარგლებში გამოყენებულია მრავალფეროვანი სწავლა/სწავლების მეთოდები. პროგრამა განსაზღვრული შედეგების მიღწევასა და სტუდენტის მიერ შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავების მიღწევას გეგმავს, როგორც ტრადიციული, ისე აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებით.

თსუ-ს შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესები.

პროგრამის აღწერისა და ინტერვიუების თანახმად, მეცადინეობები ჩატარდება სწავლების ინტერაქტიულ გარემოში, აქტიური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ტესტირება, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და სიტუაციური ამოცანების (ქეისების) განხილვა, დისკუსია–სემინარების ჩატარება, საპრეზენტაციო პროექტების მომზადება, აგრეთვე საკონსულტაციო და დამოუკიდებელი მუშაობა. პროგრამით ასევე განსაზღვრულია სტუდენტებისათვის პრაქტიკული სასწავლო გასვლები სახელმწიფო უწყებებში სადაც სტუდენტები შეძლებენ, რეალურ გარემოში არსებული სურათის გაცნობას და ხელმძღვანელი პირების გამოცდილების გაზიარებას.

ექსპერტთა მოსაზრებით, სწავლა-სწავლების მეთოდებში სასურველია ისეთი მეთოდების დამატება, რომლებიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და გაზრდის კონკრეტული კურსების პრაქტიკული მუშაობის კომპონენტის წილს. მაგალითად, კურსები: ლოჯისტიკა საჯარო სექტორში; უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლები; სტრატეგიული კომუნიკაცია და მოლაპარაკებები; სტრატეგიული ლიდერობა; სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში. აღნიშნულ დისციპლინებში სტუდენტების შეფასება ხდება სტანდარტულად, შუალედური და ფინალური გამოცდის, შემუშავებული პოლიტიკის ან სტრატეგიის პრეზენტაციით, ესსეთი. ექსპერტები მიიჩნევენ, სასურველია, რომ კურსები ასევე მოიცავდეს სიტუაციურ ანალიზს (case study), ასევე, ამ ტიპის კურსებში დანერგილი პრაქტიკაა სიმულაციური პროგრამების გამოყენება, რომლებიც სტუდენტს რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ სიტუაციაში სხვადასხვა მასშტაბის პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას აძლევს.

პროგრამის განმახორციელებლებთან ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ, სწავლების სტრატეგიები შერჩეულია, სასწავლო პროცესში, სტუდენტების მაქსიმალურ ჩართულობის უზრუნველსაყოფად. აღინიშნა, ასევე რომ, პანდემიის პირობებში უმაღლესი განათლების სექტორმა დიდი გამოცდილება მიიღო სწავლების დისტანციური ფორმების განხორცილების მხრივ და ეს გამოცდილებაც გამოყენებული იქნება ამ პროგრამასთან მიმართებაში. უსდ. იყენებს ისეთ ლიცენზირებული პლატფორმებს როგორიცაა : ZOOM, Bookwidgets და MOODLE.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- პროგრამის განმახორციელებლებთან ჩატარებული ინტერვიუები;
- სწავლის შედეგების რუკა;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  - შემდეგ კურსებში: ლოჯისტიკა საჯარო სექტორში; უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის საფუძვლები; სტრატეგიული კომუნიკაცია და მოლაპარაკებები; სტრატეგიული ლიდერობა; სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში - სასურველია სწავლების მეთოდებს შორის სიტუაციის ანალიზის, ისევე, როგორც გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების გადაჭრის სიმულაციური პროგრამების გამოყენება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად; სამაგისტრო პროგრამაზე -„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობა“ მოიცავს სტუდენტის შემდეგ დატვირთვას: ლექციაზე, სემინარზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, სასემინარო გასვლებს ორგანიზაციებში, დამოუკიდებელ მუშაობას, პროფესიულ ნაშრომზე მუშაობას და ნაშრომის დაცვას, სხვა სახის საქმიანობას სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

უსდ-ში სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით და მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა შუალედური და დასკვნით შეფასებები. კურსებში შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს შესაბამისი

ხვედრითი წილი. სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილია, კურსში გამოყენებული სწავლის მეთოდები, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კომპონენტებში შუალედური და დასკვნითი შეფასებისა და შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 51%. კრედიტის მიღების მოთხოვნაა მაქსიმალური (100) ქულიდან 51 ქულის ან მეტის მიღება.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. F – შეფასების შემთხვევაში, სტუდენტმა განმეორებით უნდა სცადოს კრედიტების დაგროვება.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაში გამოყენებული შეფასების მეთოდები შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის განმახორციელებლებთან ჩატარებული ინტერვიუები;
- სწავლის შედეგების რუკა;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

უსდ სწავლის დაწყების პირველ კვირას გეგმავს და ახორციელებს საკონსულტაციო შეხვედრებს სტუდენტებთან სხვადასხვა მიმართულებებით. აღნიშნული კონსულტაციები მოიცავს, როგორც აკადემიური პერსონალის გაცნობასა და სილაბუსების წარდგენაა, ასევე მთლიანად საუნივერსიტეტო სერვისების გაცნობას სტუდენტებისათვის. ასევე, როგორც სტუდენტებმა და ლექტორებმა აღნიშნეს, ლექციებზე სტუდენტები ამომწურავ ინფორმაციას იღებენ სილაბუსების შესახებ, გარდა ამისა, სილაბუსები იტვირთება LMS პლატფორმაზე. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს მისწეროს საგნის ლექტორს, მიიღოს მისგან უკუკავშირი, ისარგებლოს სასწავლო რესურსებით. პარალელურ რეჟიმში პროგრამის ფარგლებში სოციალურ ქსელებში იქმნება სტუდენტთა და ლექტორთა ერთობლივი ჯგუფები, რომლებიც დამატებით უზრუნველყოფენ ეფექტურ და უფრო ხშირ და ინტენსიურ კომუნიკაციას.

ასევე უსდ-ს ვებ-გვერდზე დევს სტუდენტის გზამკვლევი, როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის, სადაც წარმოდგენილია სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, სტუდენტის დატვირთვა და სემესტრები, რეგისტრაცია, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, სწავლის საფასური და ა.შ. ყველა ეს სერვისი, რაც ეხება საკონსულტაციო საათებს და მომსახურებას გაეწევა ახალი პროგრამით ჩარიცხულ სტუდენტებსაც.

ვიზიტის დროს განხილული იქნა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტები. როგორც გაირკვა, სტუდენტები ინტენსიურად იღებენ ინფორმაციას საერთაშორისო თუ ადგილობრივი პროექტების შესახებ. ეს ინფორმაცია მათ მიეწოდებათ, როგორც მეილით ასევე უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდიდან. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორები ხშირად აწვდიან ინფორმაციას საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, უკვე არსებულ საერთაშორისო პროექტებში შეეძლებათ ახალი პროგრამის სტუდენტებს ჩართვა, თუმცა ახალი საერთაშორისო პროექტებზე, პროგრამებზე უკვე აკრედიტაციის შემდეგ დაიწყება უფრო ინტენსიური მუშაობა უშუალოდ ამ პროგრამისათვის.

უსდ-ში ხშირად ტარდება საერთაშორისო ფორუმები, ასევე, ფუნქციონირებს სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრი, რომლის მიზანია სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების ცენტრის მიზანია სტუდენტების საუნივერსიტეტო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობა, სტუდენტთა პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში სტუდენტური ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა და დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში მხარდაჭერა, რაც დაეხმარება ახალგაზრდებს საზოგადოებაში პროფესიული და სოციალური უნარების რეალიზებაში.

აღსანიშნავია, რომ თსუ ყველა სტუდენტს, მათ შორის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრანტებს, აქვთ ვრცელი ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია სტუდენტის თსუ-ში სწავლებასა და სხვა აქტივობებთან მიმართებაში. ყველა რეგულაცია განთავსებულია თსუ ვებ გვერდზე.

უსდ-ში აქტიურად ხორციელდება საკონსულტაციო საათებით სტუდენტების მომსახურება, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა სპეციალური ცხრილი არის გამოკრული საკონსულტაციო საათებისათვის და ისინი ხშირად სარგებლობენ ამ შეხვედრებით, განსაკუთრებით გამოცდების წინ.

გარდა ამისა ყოველი სემესტრის ბოლოს ისინი აფასებენ ლექტორებს და საგნებს. თუმცა ახალი პროგრამის ფარგლებში, ჩამოყალიბდება ფოკუს ჯგუფები და ასეთი ფორმით მოხდება სტუდენტების გამოკითხვა, ვინაიდან ამ პროგრამის ფარგლებში მოხდება მცირე რაოდენობის სტუდენტების მიღება, შესაბამისად ფოკუს ჯგუფები ბევრად ეფექტურად იმუშავებს.

უსდ-ში ფუნქციონირებს საგამოცდო ცენტრი, ასევე, როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს გასაუბრებაზე საკმაოდ ორგანიზებულად ხდება გამოცდების ჩატარება და ასევე, საგამოცდო ნაშრომის გასაჩივრება. უნივერსიტეტმა წარმოადგინა დოკუმენტი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია, სადაც ასევე წარმოდგენილია საგამოცდო ნაშრომის გასაჩივრების წესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში სამაგისტრო პროგრამა (უმაღლესი განათლების II საფეხური) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1 დეკემბერი, 2022
- მაგისტრატურის-გზამკვლევი
- ბაკალავრის-გზამკვლევი
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდების
- ჩატარების ინსტრუქცია
- ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.1 [illegible] საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- ➢ სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- ➢ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და

შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საჯარო მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის ერთ წლიანი პროგრამა, შესაბამისად კვლევითი კომპონენტი ნაკლებად არის პროგრამაში გათვალისწინებული. სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ წერს პროექტს. პირველ სემესტრში იწერება „policy paper", პროგრამის ხელმძღვანელი აძლევს დაახლოებით 30 მდე საფრთხეს, რისკს, რომელზეც უნდა დაიწეროს „policy paper", ხოლო, მეორე სემესტრში პროექტი ანუ „policy paper"- ის გარდაქმნა სტრატეგიაში.

როგორც სამაგისტრო ნაშრომს, ასევე პროექტსაც ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ეხმარება და მიმართულებას აძლევს სტუდენტს. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა, სადაც წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლებები და მოვალეობები, ასევე სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი. თუმცა ვინაიდან ახალი პროგრამის ფარგლებში იწერება არა სამაგისტრო ნაშრომი, არამედ სამაგისტრო პროექტი, რომელიც არ მოიცავს კვლევით კომპონენტს, უმჯობესი იქნება, თუ რომელიმე დოკუმენტში, უფრო დეტალურად იქნება გაწერილი პროექტის დაწერის ინსტრუქცია და გამიჯნული იქნება სამაგისტრო ნაშრომისგან.

როგორც გასაუბრებაზე კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, მათ ინტენსიური ურთიერთობა ქონდათ ხელმძღვანელებთან, ზოგიერთის შემთხვევაში საჭიროებისამებრ ხდებოდა შეხვედრა, იყვნენ სტუდენტები, რომლებიც დაგეგმილი გრაფიკით ხვდებოდნენ თემის ხელმძღვანელს. ძირითადად შეხვედრები ხდებოდა ონლაინ რეჟიმში. ყველა სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე. როგორც კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, მათი ნაშრომებიც შემოწმდა Turnitin პროგრამით.

აღნიშნულ პროგრამაზე, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლები თვლიან, 25 ადგილი იქნება გამოცხადებული, ხოლო სამაგისტრო პროექტებს ეყოლებათ 3 ხელმძღვანელი. ამ თანაფარდობით, შესაძლებელია ცოტა გართულდეს 25 მაგისტრანტის პროექტების სრულყოფილად შეფასება (იხ, ქვესტანდარტი 4.1).

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**3**
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	**25**
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

  - ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საჯარო მართვის, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
  - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში სამაგისტრო პროგრამა (უმაღლესი განათლების II საფეხური) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1 დეკემბერი, 2022

- სასწავლო პროგრამის სილაბუსები
- ინტერვიუები ლექტორებთან, კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა

ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საჯარო მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ განხორციელებაში ჩართულია უსდ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის (შემდგომში თიას). წარმოდგენილ პროგრამისთვის აკადემიურ პერსონალად განიხილება უსდ-ს პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი), ხოლო პროგრამის მოწვეულ პერსონალს წარმოადგენენ თიას-ში დასაქმებული მაღალკვალიფიციური პერსონალი. პროგრამაში ჩართულია 6 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 1 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ პროფესორი, ამასთანავე 17 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს აქვს პროგრამის განხორცილებისთვის აუცილებელი კომპეტენციებთან შესაბამისი კვალიფიკაცია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არის სპეციფიკური ხასიათის, რადგან ეს არის აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების 60-კრედიტიანი სამაგისტრო საფეხურის პროგრამა, სადაც აქცენტები კეთდება სწავლების პრაქტიკულ-პროფესიულ მეთოდოლოგიაზე და ასეთი სახის პროპორცია მოცემული პროგრამის განხორცილების პროცესში მისაღებია. თუმცა კარგი იქნება თუ უსდ დაგეგმავს თიას-სიდან მოწვეული პერსონალისთვის რაიმე სახის აკადემიური თანამდებების კონტრაქტის შეთავაზებას, რაც დაეხმარება პროგრამას მდგრადობის მიღწევაში.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეულ პერსონალს აქვს მნიშვნელოვანი პედაგოგიური გამოცდილება და მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

პროგრამის განმახორციელებლები ჩართული პირები არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც სწავლის შედეგების მიღწევის გამოცდილება აქვთ.

პროგრამას ჰყავს 2 ხელმძღვანელი, 1 წარმოადგენს უსდ, ხოლო მეორე თიას-ს, ორივე მათგანს მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს და წარმოადგენენ დარგში არსებულ მოწინავე სპეციალისტებს, ერთი მათგანი არის - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ხოლო მეორე - სოციალური მეცნიერებების დოქტორი.

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მართვის ორგანოებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელშეწყობით. პროგრამას ემსახურება სათანადო რაოდენობისა და კვალიფიკაციის

ადმინისტრაციული და დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალი, რომელიც ახდენს პროგრამაზე არსებული სტუდენტების სრულყოფილ მომსახურებას.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ- პროფესორი) კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და თსუ-ში მოქმედ რეგულაციებში არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. უსდ-ს აქვს აკადემიური სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი, რომელსაც შეესაბამება უსდ-ს სპეციფიკას და საქართველოს კანონმდებლობას. უსდ აღნიშნულ წესში განსაზღვრულ პირობებს ზედმიწევნით ასრულებს.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის დატვირთვა განისაზღვრება უსდ-ში მოქმედი რეგულაციებით. სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი; ასევე, განსაზღვრულია მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა (როგორც „ა“, ასევე „ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალისთვის).

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მართვის ორგანოებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელშეწყობით. პროგრამას ემსახურება სათანადო რაოდენობისა და კვალიფიკაციის ადმინისტრაციული და დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალი, რომელიც ახდენს პროგრამაზე არსებული სტუდენტების სრულყოფილ მომსახურებას. გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელება თავად თავდაცვის სამინისტროსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია და თიას-ის მხრიდან ადმინისტრაციული პერსონალი მუდმივად მზად იქნებიან პროგრამის სტუდენტებს გაუწიონ შესაბამისი სახის მომსახურება.

უსდ-ს დამხმარე პერსონალისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ყოველი კონკრეტული პოზიციისათვის, სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. უსდ-ს აქვს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესი, რომელიც განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

უსდ-ში მოქმედებს აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი.

ფაკულტეტის მომსახურე ადმინისტრაციული და დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფს პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების მომსახურებას. გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ სტუდენტები კმაყოფილები არიან უსდ-ს მომსახურებით და პროგრამების სასწავლო და კვლევითი პროცესი მორგებულია სტუდენტთა ინტერესებზე, მათ შესაძლებლობა აქვთ სწავლის პროცესს შეუთავსონ მათი ინტერესების და სხვა საქმიანობები.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური,	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)			**დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი**[7]	
სულ აკადემიური პერსონალი	**6**			
- პროფესორი	1	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	4		4	4
- ასისტენტ-პროფესორი	1		1	1
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	17	17	5	_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

  - საგანმანათლებლო პროგრამა და თვითშეფასების ანგარიში;
  - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური
  - პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი
  - https://www.tsu.ge/data/file_db/orders/118-danarti1.pdf;
  - თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება №81/2018, 26 თებერვალი, სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ;
  - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები;
  - აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
  - პერსონალის ჩამონათვალი;
  - პერსონალის რეზიუმეები (CV) და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
  - გასაუბრების შედეგები;
  - უსდ-ს ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

  - გაიზარდოს პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში დარგობრივი მიმართულებით უსდ-სთან ასოცირებული, დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პედაგოგების ჩართულობა; ამისათვის პროგრამის აკადემიური პერსონალი გამდიდრდეს პოლიტიკის მეცნიერებების ან უსაფრთხოების პროგრამების

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

პროფესორების მოწვევის, ასევე თიას-სიდან მოწვეული პერსონალისთვის რაიმე სახის აკადემიური თანამდებების კონტრაქტის შეთავაზების ხარჯზე, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მდგრადობას და განვითარებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☐	☒	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საჯარო მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით“ გათვალისწინებულია მეორე სემესტრში ნაშრომის „პროექტი - პროფესიული (პრაქტიკული) ნაშრომი (Capstone Project)“, შესრულება.

პროგრამით განსაზღვრულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები შესაძლებელია იყოს 3 პირი. პროგრამისა, თვითშეფასების და სხვადასხვა დანართების საფუძველზე ირკვევა, რომ დაგეგმილია საშუალოდ 25 სტუდენტის რეგისტრაცია პროგრამაზე ამ რაოდენობის სტუდენტებისთვის ვფიქრობთ სამაგისტროს ხელმძღვანელად 3 პირი ვფიქრობთ იქნება არასაკმარისი და საჭიროა უსდ-მ მოახდინოს დამატებით კადრების მობილიზება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისთვის ანდა პროექტის შესრულებისას მოწვეული პერსონალიდან მოახდინონ თანახელმძღვანელის დანიშვნა.

პროგრამის სტუდენტებს ხელმძღვანელობას უწევს პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალი, რომლებიც არიან დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. მათ აქვთ შესაბამისი

პუბლიკაციები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, რაც დასტურდება მათი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციით.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	1	1	1
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი	2	2	_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა და თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის ჩამონათვალი;
- პერსონალის რეზიუმეები (CV) და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- გასაუბრების შედეგები;
- უსდ-ს ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

  - უსდ-მ მოახდინოს დამატებით კადრების მობილიზება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისთვის ანდა პროექტის შესრულებისას მოწვეული პერსონალიდან მოახდინონ თანახელმძღვანელის დანიშვნა, რადგან 3 პირი არ იქნება საკმარის, რათა 25 კაცს გაუწიოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☒	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საჯარო მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ განხორციელებაში ჩართული პირების შეფასებას, უსდ განახორციელებს შესაბამისი წესის საფუძველზე, რომელიც დადგენილია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 26 თებერვლის დადგენილებით №81/2018 - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ, რომლის მიხედვითაც, სამუშაოს შეფასების მიზნებია: პერსონალმა ზუსტად აღიქვას ის მოლოდინები, რაც უნივერსიტეტს მასთან მიმართებაში აქვს; პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა; პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოვლენა, ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენა და სწორი მიმართულებებით განვითარება; შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების გაზრდა; დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხის გაუმჯობესება. დადგენილების (#81/2018, 26.02.2018; მუხლი 4) თანახმად, თვითშეფასების კითხვარებს განიხილავს და აფასებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საბჭოები /სამეცნიერო საბჭოები და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენენ სასწავლო, სამეცნიერო - კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის ანგარიშს, მის ანალიზს და სამუშაო გეგმას

სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის, დამატებითი სასწავლო საქმიანობის, სერვისების და სხვა სახის

საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით. გამომდინარე აქედან, აკადემიური პერსონალის, მასწავლებლების და მოწვეული პერსონალის მიერ შევსებული თვითშეფასების კითხვარის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭო განიხილავს სასწავლო, სამეცნიერო - კვლევითი და დამატებითი სასწავლო და სხვა საქმიანობის ანგარიშს. ფაკულტეტის საბჭოზე განხილვის შემდგომ ანგარიში გადაეგზავნება თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

თსუ ყოველწიურად ატარებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას და პროგრამის ხელმძღვანელებს აწვდის შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას და შესაბამის ანალიზს, ასევე, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ხდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშის წარდგენა, სადაც აღიწერება სამეცნიერო პუბლიკაციები, სამეცნიერო პროექტები, კონფერენციებში მონაწილეობა და სხვა სამეცნიერო აქტივობები.

განხილული დოკუმენტების საფუძველზე და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, რაც დგინდება შემდეგი აქტივობებით:

- ✓ უსდ და ფაკულტეტი აკადემიური პერსონალისთვის ატარებს სხვადასხვა სახის სამეცნიერო აქტივობებს (სემინარებს, ტრენინგებს, კონფერენციებს), რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას.
- ✓ კონფერენციაში მონაწილეობა ღიაა და მასში ასევე აქტიურად მონაწილეობენ მოწვეული პედაგოგებიც.
- ✓ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საზღვარგარეთ გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, პროექტებში, ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.
- ✓ უსდ სისტემატურად ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებაზე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებასა და კვლევაში დანერგვის კუთხით, რაც სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად გულისხმობს ელექტრონული სწავლების გაძლიერებას Moodle-ის პლატფორმის გამოყენებით.
- ✓ ფაკულტეტი აფინანსებს აკადემიური პერსონალის მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში, რომელიც აისახება ბიუჯეტის კონკრეტულ კატეგორიაში.
- ✓ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა პროგრამაში. თსუ-ში მოქმედებს შემდეგი გაცვლითი პროგრამები: ერაზმუს +, ერაზმუს მუნდუსი, მევლანას, მარი კიურის, DAAD პროგრამები. ასევე, სხვადასხვა ინგლისურენოვანი, გერმანულენოვანი, იტალიურენოვანი და ფრანგულენოვანი პროგრამები.
- ✓ 2017 წლის 8 დეკემბრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს წვდომა აქვს Clarivate Analytics პროდუქტზე - "Web of Science (WoS)". "Web of Science" პლატფორმაზე წვდომა შესაძლებელია თსუ-ის ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან, რისთვისაც ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სამეცნიერო ჟურნალი. სადაც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შეუძლია გამოაქვეყნოს სამეცნიერო ნაშრომები.
- ✓ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მიზნობრივი სამეცნიერო–კვლევითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ბრძანების (N:39/04; 23.12.2015) საფუძველზე შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსებით ფაკულტეტზე განხორციელდა და დღემდე ხორციელდება მიზნობრივი-სამეცნიერო პროექტები სტუდენტთა ჩართულობით.
- ✓ ფაკულტეტი თსუ ადმინისტრაციის აქტიური მონაწილეობით მუდმივად ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ სამეცნიერო-კვლევით აქტივობებს.
- ✓ და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

  - თსუ ვებ-გვერდი;
  - საგანმანათლებლო პროგრამა და თვითშეფასების ანგარიში;
  - ფაკულტეტის ყოველწლიური სამეცნიერო ანგარიშები;
  - აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები;
  - საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნის/საგნების მიხედვით;
  - პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის
  - მეთოდოლოგია;
  - https://www.tsu.ge/ka/quality-assurance
  - თსუ-ს მიერ პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევისა და გამოკითხვის შედეგები;
  - საგანმანათლებლო პროგრამა და თვითშეფასების ანგარიში;
  - გასაუბრების შედეგები;
  - საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐
4.4. მატერიალური რესურსი				

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საჯარო მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა“ განხორციელდება თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა (X (მაღლივი) კორპუსი) და თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ბაზაზე.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს აქვს მდიდარი მატერიალური რესურსები, რომელთა შორისაა უსდ-ს მე-10 კორპუსი საერთო ფართობით 23000 მ2, სააუდიტორიო ფართობი - 5140 მ2.აუდიტორიების რაოდენობა - 103. სტუდენტების განთავსებისათვის აუდიტორიებში ადგილების საერთო რაოდენობა შეადგენს 4643-ს. ინფრასტრუქტურული მდგომარეობა ადეკვატურია სასწავლო პროცესისათვის.

ფაკულტეტზე სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია: 3 რესურსცენტრი, რომელიც აღჭურვილია 117 პერსონალური კომპიუტერის კომპლექტით, სადაც სტუდენტებისა და პერსონალისთვის უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა ინტერნეტთან; 4 კომპიუტერული კლასი, რომელიც მთლიანობაში აღჭურვილია 70 პერსონალური კომპიუტერის კომპლექტით, პორტაბელური კომპიუტერით, პრინტერით და 4 პროექტორით; ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სასწავლო სამეცნიერო ცენტრები, რომლებიც ემსახურება პროგრამის მიზნების მიღწევას; და სხვ.

სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები ელექტრონული და მატერიალური ფორმით, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები (EBSCO Publishing, JSTOR, Scopus, Sciencedirect, Web of Science (WoS)) https://tsu.ge/ka/library/page/894.

სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოები მეტწილად სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია, ადგილზე ვიზიტისას დადგინდა, რომ სასწავლო პროგრამის ძირითადი ლიტერატურიდან 2 წიგნი არ ქონდათ ადგილზე.

ასევე მდიდარი რესურსები აქვს სსიპ-თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლას, რომელიც აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო-საგანმანათლებლო ტექნიკითა და ტექნოლოგიებით (მის: ქ. თბილისი ჭონქაძის 20). მისი ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნებზე. სკოლას აქვს: 2 საკონფერენციო დარბაზი (35 და 20 სტუდენტი) აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით (აუდიო, ვიდეო, მიკროფონები); 2 საკლასო/სასემინარო ოთახი (16 და 10 სტუდენტი) აღჭურვილი აუდიო/ვიდეო საშუალებებით; სინქრონული თარგმანის აღჭურვილობა; ღია სარეკრეაციო სივრცე, რომელიც გამოყენებულია აგრეთვე სასწავლო პროცესში (სიმულაციები, მცირე ჯგუფების მუშაობა).

სკოლის საკლასო და სასემინარო სივრცეები სრულად არის უზრუნველყოფილი Wi-Fi ინტერნეტის საშუალებებით. სკოლაში არის სივრცეები ყავის შესვენებების ან სხვა სოციალური ღონისძიებების ჩატარებისთვის; ის უზრუნველყოფილი სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების წერტილებით. სკოლას შეუძლია მიიღოს ერთდროულად 80 მსმენელი. თიას-ში თავდაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილი სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში დამატებითი სალექციო და სააუდიტორო სივრცეების მოწყობა. ადგილზე არის პროფესიული ბიბლიოთეკა, ასევე თიას-ას აქს

სტუდენტებისთვის ონლაინ სასწავლო პლატფორმა რაშიც ინტეგრირებულია სტუდენტებისთვის საჭირო სასწავლო მასალა ელექტრონული ფორმით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ადგილზე ჩატარებული ვიზუალური დათვალირებით, თიას-ის რესურსების ონლაინ დათვალირებით, და პროგრამული უზრუნველყოფის ტესტებით, პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, იმაში რომ, პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღებად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- თსუ ვებ-გვერდი;
- საგანმანათლებლო პროგრამა და თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვებ-გვერდი;
- https://www.tsu.ge/ka/quality-assurance
- თსუ-ს მიერ პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევისა და გამოკითხვის
- შედეგები;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;
- საგანმანათლებლო პროგრამა და თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საჯარო მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ ფინანსური მდგრადობის მიზნით შესწავლილი იქნა

უნივერსიტეტის სტრატეგია, სამოქმედო გეგმა უსდ-ს და ფაკულტეტის ბიუჯეტი. დადგინდა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია ხარისხიანი სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე, რაც ასახულია მის საბიუჯეტო გეგმაშიც.

აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო ხარისხის 60 კრედიტია პროგრამის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საჯარო მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ განხორციელება ფინანსურად მდგრადია, კერძოდ, პროგრამის სავარაუდო შემოსავლებია 56250 ლარი, ხოლო სავარაუდო პირდაპირი ხარჯები 52740 ლარს შეადგენს.

უსდ-ს წარმოდგენილი აქვს ნაერთი ბიუჯეტი და ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი, რომელიც შეადგენს 7 734 785.00 ლარს, ფაკულტეტის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი არ არის წარმოდგენილი. ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ფიქსირდება მივლინებებისთვის გამოყოფილია 43 000 ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის 40 000, რომელთაგან 15 000 ლარი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას ეკუთვნის, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში და სხვა დაფინანსების ხარჯები 65 460.00-ლარია და სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი (პრაქტიკა, ექსპედიცია, სასწავლო პროცესით უზრუნველყოფა)10 000.00 ლარია. მიგვაჩნია, რომ ფაკულტეტზე სადაც სწავლობს 5 000-ზე მეტი სტუდენტი და მუშაობს 300-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი და დამხმარე პერსონალი, აღნიშნულ მუხლებში გამოყოფილი დაფინანსება არ იქნება საკმარისი და ინკლუზიური თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის.

გაანალიზებული დოკუმენტებისა და ადგილობრივად ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა და თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები;

- თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი#7 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ https://tsu.ge/assets/media/files/68/representing_council/rc_2021/2021o7.pdf
- თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ;
- პროგრამის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  - დარწმუნდით, რომ ბიუჯეტით გამოყოფილი დაფინანსება ადეკვატურია, ინკლუზიურია და საკმარისია ყველა სტუდენტის, აკადემიური თუ მოწვეული პერსონალისთვის. ჩაატარეთ დამატებითი კვლევები მივლინებისა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერით ფაკულტეტის რამდენმა პროცენტმა ისარგებლა და დაადგინეთ დაფინასების სუსტი წერტილები, რათა მოახდინოთ ბიუჯეტის უფრო ეფექტიანი და ინკლუზიური ხარჯვა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს

რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებით. სამსახური შედგება ორი განყოფილებისაგან - ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის განყოფილება; აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილება. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის მუდმივ შეფასებას. სამსახური ასევე უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და მიღებული უკუკავშირის შედეგად - პროგრამის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PDCA” პრინციპის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის ეტაპობრივად ასევე ტარდება შეხვედრები აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებთან. უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შეფასების პროცესის ინდივიდუალიზებას, რაც გულისხმობს პროგრამისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად დადგენილ კრიტერიუმებისა და შეფასების მეთოდების გამოყენებას პროგრამის შეფასების პროცესში. უსდ ასევე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით მექანიზმების ადაპტირებას და განსაზღვრას, საჭიროების შემთხვევაში. მაგალითად, დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებისათვის ადაპტირდა კმაყოფილების კითხვარები და დაინეგრა კონკრეტული შეფასების ფორმები. პროგრამის შეფასება ხდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე. პროგრამის შეფასების პროცესში მხედველობაში მიიღება შემდეგი ინდიკატორები: სტუდენტთა რაოდენობა, საჭიროებები და პროგრესია, დასაქმების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა მაჩვენებლები, განმახორციელებელი პერსონალი, რაოდენობა, დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი. პროგრამის განხორციელების სრულყოფის მიზნით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და უნივერსიტეტის ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლობით შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინება წარედგინება საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტს, ფაკულტეტებისა და აკადემიურ საბჭოებს. უსდ-ში წარმატებით ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ფუნქციონირების პრაქტიკა.

საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის საქმიანობა გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროცესში. კომიტეტში, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გარდა, მონაწილეობს ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები საჭიროების შემთხვევაში. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს კომიტეტისა და თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. გარდა ამისა, ასევე აქტიური პრაქტიკაა შიდა მონიტორინგის პროცესი, რომელიც სააკრედიტაციო ვიზიტის იმიტაციაა და ხორციელდება კოლეგიალური შეფასების პრინციპებზე დაყრდნობით. დადგენილი პრაქტიკის თანახმად, შიდა შეფასების სამიზნე ხდება საგანმანათლებლო პროგრამა რომელსაც დღიდან ბოლო აკრედიტაციისა არც ერთი ცვლილება არ განუცდია; ხშირად განიცდის ცვლილებებს; ხარისხის სამსახური აკვირდება სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს როგორც ვიწრო თემატურ კლასტერს და აფასებს ჰოლისტურად. პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებული, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ექსპერტები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის განმავლობაში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა, რომ პოლიტიკის ანალიზის და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მაღალმა ჩართულობამ, პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის ეფექტურმა ფუნქციონირებამ დადებითი გავლენა იქონია პროგრამის განვითარებისა და სააკრედიტაციოდ მომზადების პროცესში, რაც ნამდვილად მისასალმებელი პრაქტიკაა. აღსანიშნავია თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის წარმომადგენლების როლი და მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, რომელიც დადასტურდა განხორციელებული ვიზიტისა და ინტერვიუების განმავლობაში, თუმცა სასურველია შიდა ხარისხის მექანიზმებში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ფორმალიზებულ იქნას ორივე ინსტიტუციის თანამშრომლობა პროგრამის მდგრადი განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი;

- სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განხორციელებული შეფასების ანალიზი და გამოკითხვის შედეგები;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს და გარე ექსპერტის შეფასებას და აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან. 2022 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის ინსტიტუციური შეფასების პროგრამის (EUA-IEP) მიერ ინსტიტუციურად შეფასდა და მიენიჭა უფლება, 5 წლის განმავლობაში გამოიყენოს სიმბოლო: „შეფასებულია IEP-ის მიერ“. შეფასების პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს ასოციაცია უზრუნველყოფს 3-5 წელიწადში დაგეგმილი პროგრესიის შეფასების პროცესში.

გარდა ამისა, უსდ რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული გარე ხარისხის შეფასების მექანიზმების გამოყენებით მიღებული შედეგები აისახება საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში. ვინაიდან, სამაგისტრო პროგრამა „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“ ახალია, ინსტიტუცია გამოთქვამს მზაობას აკრედიტაციის პროცესში გამოვლენილი ექპერტთა ჯგუფის მიგნებები ასახულ იქნას პროგრამის განვითარების პროცესში.

ვინაიდან პროგრამა შემუშავებულ იქნა სსიპ-თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მხარდაჭერით, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად, დადგინდა, რომ სკოლის პერსონალი აქტიურად მონაწილეობდა პროგრამის განხილვისა და შეფასების პროცესში, მათი რეკომენდაციები და მოსაზრებები ასახულ იქნა პროგრამის სააკრედიტაციოდ წარდგენილ ვერსიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო,

მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ყოველი სასწავლო კურსის ბოლოს ხორციელდება სტუდენტების მიერ აღნიშნული სასწავლო კურსის შეფასება შესაბამისი კითხვარის მეშვეობით. მიღებული მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას. პერიოდულად ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კოლეგიალური, განმავითარებელი შეფასება, ლექციაზე დასწრების გზით. ასევე სტუდენტების მიერ ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის საქმიანობის შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კი შეფასების შედეგებსა და რეკომენდაციებს რეგულარულად აცნობს დაინტერესებულ მხარეებს.

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ასევე ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების ყველა შესაბამის სამუშაო ეტაპზე, რაც დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევისა და სფეროს წარმომადგენლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე მუდმივად ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანმანთლებლო პროგრამების დადარება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სამიზნე უნივერსიტეტები შერჩეულია დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებით წარმატების მაჩვენებლების შესაბამისად. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საჯარო მართვის სამაგისტრო პროგრამა ძირითადად ეყრდნობა ეროვნული თავდაცვის აკადემიისა და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის პერსონალის მიერ საკუთარი გამოცდილების გაზიარებას, განსაკუთრებით მათ მიერ საზღვარგარეთ მიღებული განათლებისა და გავლილი საკვალიფიკაციო კურსების პრაქტიკის

მიმართულებით. საგანმანათლებლო პროგრამის კურსებისა და სტრუქტურის დადარება განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის ადგილობრივ პროგრამებთან, ასევე ნატოს თავდაცვის კოლეჯის, აშშ-ს ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტი - CISA, ბალტიის სამხედრო კოლეჯის, საფრანგეთის არმიის ომის კოლეჯის, არმიის ომის კოლეჯის კურსებსა და პროგრამებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი;
- ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საჯარო მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსების შესაბამისობა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების კურსებთან;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში

სამაგისტრო პროგრამა (უმაღლესი განათლების II საფეხური)

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☐	☒	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო დოლიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ეკა გეგეშიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამთა ცხოვრებაძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა

მარიამ დალაქიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამარ თავხელიძე